გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე!

ᲓᲘᲓᲘ მოწონებით შეხვდა მთელი საბჭოთა ხალხი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის სამართლიან განაჩენს სამშობლოს მოღალატის, ინგლისისა და ამერიკის დაზვერვათა აგენტის პენკოვსკისა და დამაკავშირებელი ჯაშუშის ვინის სისხლის სამართლის საქმის გამო. სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა პენკოვსკის და რვა წლით თავისუფლების აღკვეთა ვინს — ასეთია სასამართლოს განაჩენი.

ამ დღეებში დაუსრულებელ ნაკადად მოდის „პრავდის“ რედაქციაში, პრესის სხვა ორგანოებსა და რადიოში წერილები, რომლებშიც სულ სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის საბჭოთა ადამიანები გამოთქვამენ დიდი კმაყოფილების გრძნობას იმის გამო, რომ სახელოვანმა საბჭოთა რეკისტებმა მტკიცედ აღკვეთეს ინგლისისა და ამერიკის დაზვერვათა საზიზღარი საქმიანობა. ამ წერილებში მტკიცედ გაისმის მუშების, სოფლის მეურნეობის მშრომელების, საბჭოთა ინტელიგენციის ხმა, რომლებიც გულისწყრომით აკრავენ სამარცხვინო ბოძზე კაპიტალისტური სახელმწიფოების რეაქციულ წრეებს, რომლებიც ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

თავიანთ წერილებში საბჭოთა ადამიანები იგონებენ სიტყვებს, რომლებიც ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა სკკპ XX ყრილობაზე იმის შესახებ, რომ ძირგამომთხრელ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ აშკარად უბერენ მხარს და ხაზს უსვამენ მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნების რეაქციული წრეები. „ᲐᲛᲘᲜᲓᲐ, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — ᲧᲕᲔᲚᲘ ᲚᲝᲒᲘᲙᲘᲡᲫᲘᲡᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲫᲐᲚᲘᲔᲠᲔᲗ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲡᲘᲤᲮᲘᲖᲚᲔ!..“

თავისი არსებობის პირველი დღიდანვე საბჭოთა სახელმწიფო გახდა საერთაშორისო იმპერიალიზმის განუწყვეტელი მტრული აქტების ობიექტი. სამოქალაქო და დიდი სამამულო ომის წლებში მტრები ცდილობდნენ შეიარაღებული გზით მოესპოთ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო. ისინი გაანადგურა საბჭოთა ხალხმა. ასევე სამარცხვინოდ ჩაიფუშა მათი ვარაუდი, საბჭოთა ხალხი თავისი ეკონომიკის, ტექნიკისა და მეცნიერების განვითარებას ვერ უზრუნველყოფს და იძულებული იქნება კაპიტალიზმის ჯნას დაუბრუნდესო. მთელი ამ წლების განმავლობაში აშკარა პოლიტიკურ, ეკონომიურ და სამხედრო ბრძოლასთან ერთად იმპერიალისტები ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ აწარმოებდნენ „ფარული ომს“, მიმართავდნენ ჯაშუშობას, დივერსიებსა და სხვაგვარ ძირგამომთხრელ საქმიანობას. მთელი რიგ იმპერიალისტურ სახელმწიფოებში ძირგამომთხრელი და სადაზვერვო საქმიანობა აღიარებულია სახელმწიფო პოლიტიკად. მაგრამ რეაქციული ძალების ყველა ეს დანაშაულებრივი ზრახვა ან მოქმედება განწირულია ჩასაფუშავად.

ჩვენს დროში, როცა ძალთა თანაფარდობა მსოფლიო ასპარეზზე ძირეულად შეიცვალა სოციალიზმის სასარგებლოდ, აშკარა სამხედრო გამოსვლები სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების წინააღმდეგ გარდაუვალად დამთავრდება იმათი დალუპვით, ვინც ამას წამოიწყებს. მაგრამ საერთაშორისო იმპერიალიზმს ჯერ კიდევ არ უთქვამს უარი თავის საზიზღარ ზრახვებზე სოციალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ. იგი აწყობს სხვადასხვა ხრიკებს სოციალიზმის წინააღმდეგ. ინგლის-ამერიკელი ჯაშუშების საქმის გამო გამართული სასამართლო პროცესი, რომელიც რამდენიმე დღის წინათ დამთავრდა, ეს „ფარული ომის“ მხოლოდ ერთ-ერთი აქტია.

იმპერიალისტური სახელმწიფოები ცდილობენ ყოველი ღონით, ყოველი საშუალებით მოიპოვონ ცნობები საბჭოთა კავშირის თვალსაჩინო მიღწევების შესახებ ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების შესახებ. პროცესზე უდავოდ დამტკიცდა, რომ ისინი მოურიდებლად თელავენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს და ჯაშუშობის მიზნით იყენებენ თავიანთ სახელმწიფოთა დიპლომატიურ სამსახურსაც. უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის კერძო განჩინებაში დასახელებულია სსრ კავშირში აკრედიტებული შვიდი ინგლისელი და ხუთი ამერიკელი დიპლომატი, რომლებიც ბოროტად იყენებდნენ თავიანთ ოფიციალურ მდგომარეობას და ეწეოდნენ მტრულ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. ჯაშუშობის ბინძურ საქმეში აბამენ აგრეთვე ზოგიერთ უცხოელ კომერსანტს, ტურისტს, სხვადასხვა საზღვარგარეთული დელეგაციის წევრებს.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ საბჭოთა ადამიანები, როგორც დასავლეთის პროპაგანდა ამტკიცებს, მზად არიან ყოველი უცხოელი მიიჩნონ მტრად? განა საჭიროა იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთი მტკიცებანი სრულიად უსაფუძვლოა, სულელურია, რომ ეს მტკიცებანი ბოროტი ცილისწამებაა საბჭოთა ადამიანების მიმართ.

მშვიდობისმოყვარე საბჭოთა ხალხი, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზარდა, მუდამ უჭერდა მხარს და მხარს უჭერს სხვა ხალხებთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას, საერთაშორისო კონტაქტების ყოველი ღონისძიებით განვითარებას, კულტურულ ფასეულობათა ფართო გაცვლას. მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია სტუმართმოყვარეობა, რომლითაც ჩვენში ხვდებიან თვითეულ ადამიანს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში წმინდა გულით, კეთილი ზრახვებით ჩამოდის. დაე იცოდეს ყველამ, რომ საბჭოთა ადამიანები არ აიგივებენ სიფხიზლესა და ეჭვიანობას: ისინი სრულიადაც არ ფიქრობენ, რომ ყველა ჩვენს სტუმარს ბოროტი ზრახვები აქვს. მაგრამ დაე ყველას ახსოვდეს აგრეთვე, რომ სახელმწიფო უშიშროების საბჭოთა ორგანოების მახვილი გარდაუვალად დაატყდება თავს ყოველ გველს, რომელიც შეეცდება შემოძრეს კომუნიზმის ნათელ შენობაში, რომელსაც ჩვენი ხალხი აშენებს.

უცხოელის დაზვერვათა ყოველი ხრიკი განწირულია ჩასაფუშავად, რადგან საბჭოთა საზოგადოებაში არავითარი სოციალური საყრდენი მათ არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ. ჩვენი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთობა, საბჭოთა ადამიანების მაღალი პატრიოტიზმი ყველაზე საიმედო კედელია, რომელიც აღმართულია კაპიტალისტური სამყაროს ჯაშუშების გზაზე. სწორედ ამიტომ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა სადაზვერვო სამსახურები ჯიუტად ეძებენ ცალკეულ გახრწნილ, იდეურად მერყევ და მორალურად ბინძურ ადამიანებს, ავანტიურისტებს, კარიერისტებსა და ანგარებიან ადამიანებს, რომლებიც გარკვეულ გარემოებაში შეიძლება დაეჭიროვონ მტერს და დაადგნენ სამშობლოს ღალატის დანაშაულებრივ გზას.

ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში პენკოვსკის მსგავს გადაგვარებულებს მოელით საყოველთაო ზიზღი, მოსპობა. 220 მილიონმა საბჭოთა პატრიოტმა ერთსულოვნად გამოხატა თავისი გულისწყრომა მოღალატისადმი. საბჭოთა ხალხის სიფხიზლის გაძლიერება იმპერიალისტური ძალების ხრიკებისადმი — ასეთია საბჭოთა ადამიანების პასუხი ინგლისისა და ამერიკის დაზვერვათა დივერსიაზე, რომელიც მთელი მსოფლიოს წინაშე ამხილა მოსკოვში გამართულმა სასამართლო პროცესმა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველი წაყრუება წარსულის გადმონაშთებისა და იმ ადამიანების მიმართ, რომელსაც ეს გადმონაშთები აქვთ, მანკიერების რაიმე შემწყნარებლობა, დოყლაპიობა, რასაც ცალკეული ადამიანები იჩენენ, შეუწყნარებელია; ამას მოჰყვება პოლიტიკური სიფხიზლის დაკარგვა.

ჯაშუშობასთან ერთად ჩვენი სამშობლოს მტრები, მშვიდობისა და სოციალიზმის მტრები უკანასკნელ დროს სულ უფრო ბეჯითად მიმართავენ იდეოლოგიური დივერსიის მეთოდებს. ცდილობენ რა ძირი გამოუთხარონ საბჭოთა წყობილების ძლიერებას, ისინი ეძიებენ ყოველ საშუალებას, რათა თავიანთი გამხრწნელი გავლენა მოახდინონ მერყევ ადამიანებზე. ამიტომ ყოველი შესუსტება ბრძოლისა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, რაც კაპიტალიზმის გადმონაშთების გამოცოცხლების საშუალებაა, ქმნის ისეთ პირობებს, რომლებშიც ყველაზე მოხერხებულად იმოქმედებენ იმპერიალისტური დაზვერვების მიერ შემოგზავნილი მონადირენი, გულნამცეცა ადამიანების გადასაბირებლად. და რაც უფრო აქტიურად იბრძოლებენ საბჭოთა ადამიანები ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის, კაპიტალისტური სამყაროს მგლური მორალის წინააღმდეგ, რაც უფრო ძლიერი იქნება მათი პოლიტიკური სიფხიზლე, იმის უნარი, რომ გამოიცნონ მტერი, როგორც უნდა ინიღბებოდეს იგი, მით უფრო საიმედოდ დაიხშობა მტრის აგენტურის შემოპარვის ყველა გზა.

სამშობლოს სახელით, ხალხის სახელით, ქვეყნად მშვიდობის ინტერესებისათვის საბჭოთა სასამართლომ სრულად მიუზღო დამნაშავეებს მათ მიერ ჩადენილი ბოროტების გამო. იმპერიალისტური სახელმწიფოების მმართველი წრეების შორს გამიზნულმა ზრახვებმა — გამოეცნონ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საიდუმლოებანი, კრახი განიცადა. საბჭოთა ადამიანების გაძლიერებული სიფხიზლე, რომლებსაც კარგად ახსოვთ ვ. ი. ლენინის მითითება, მშვიდობიან მშენებლობას რომ ვიწყებთ, მუდამ ფხიზლად უნდა ვიყოთ, თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობასო, იმის უაღრესად საიმედო გარანტია, რომ ვერასოდეს და ვერავინ შეგვიშალოს ხელი დიადი მიზნისაკენ წინსვლაში. ვიყოთ მუდამ ფხიზლად, გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე! — ასეთია დღეს კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის დევიზი.

მეცნიერული შემოქმედების ახალ საფეხურზე

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს მეცნიერების განვითარებაში. მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებებში წარმოებულ კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს ტექნიკური პროგრესისათვის. ამ კვლევამ ბევრი რამ მისცა სახალხო მეურნეობას.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა ენერგიულ ღონისძიებებს ახორციელებენ იმისათვის, რომ მოახდინონ ჩვენს ქვეყანაში მეცნიერული კვლევის მთელი ფრონტის ხელმძღვანელობის ცენტრალიზაცია. ახლა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას დაკისრებული აქვს მეცნიერულად უხელმძღვანელოს ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა უმნიშვნელოვანესი პრობლემების კვლევას, რომელიც სრულდება მოკავშირე რესპუბლიკებს. ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებსა და სხვა სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში, მოახდინოს მეცნიერების ამ დარგში მუშაობის კოორდინაცია. მეცნიერებათა აკადემიებმა უნდა განახორციელონ უშუალოდ მეცნიერებასთან დაკავშირებული პერსპექტიული მეცნიერული კვლევა, გამოავლინონ ტექნიკური პროგრესის პრინციპულად ახალი შესაძლებლობანი და მოითხოვონ მათი გამოყენება სახალხო მეურნეობაში.

14-15 მაისს გაიმართა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება. კრებამ მოისმინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს მ. ვ. კელდიშის მოხსენება „სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებანი“.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, ხაზი გაუსვა მომხსენებელმა. ჩვენს ქვეყანაში ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარების ხელმძღვანელობის ინტენსიფიკაციის გამო ეფექტიანად ... მეცნიერული, მეცნიერულ-ორგანიზაციულ ... [illegible] ... მეცნიერების მეცნიერებათა აკადემიის წინაშე დასახული დიდი ამოცანები წარმატებით გადაწყდება. თუ დამყარდება ერთიანი მოქმედება მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებთან, მათ ინსტიტუტებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან, სახელმწიფო კომიტეტების ინსტიტუტებთან, რომლებიც ამუშავებენ ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა პრობლემებს. ამისათვის საჭიროა უზრუნველყოთ, რომ მეცნიერების ძირითად მიმართულებებს კოლეგიურად ხელმძღვანელობდნენ ჩვენი ქვეყნის წამყვანი მეცნიერები. შემდეგ ამბ. კელდიში შეეხო ორგანიზაციულ ღონისძიებებს.

მოხსენება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ახალი წესდების პროექტის შესახებ წაიკითხა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი სწავლული მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მ. ი. აგომკოვმა.

კამათში გამოვიდნენ აკადემიკოსები ვ. პ. გლუშკო, პ. ნ. ფედოსეევი, პ. ლ. კაპიცა, ნ. ნ. სემიონოვი, ბ. ე. პატონი, ვ. ა. ამბარცუმიანი და სხვა მეცნიერები.

საერთო კრებამ მიიღო მთელი რიგი ღონისძიებანი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებს შორის მეცნიერული კვლევის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად და მოიწონა აკადემიის ახალი წესდების პროექტი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ პირობა მისცა სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, რომ აკადემიის მეცნიერები მთელ თავიანთ ძალებსა და ცოდნას მოახმარენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიდებული ამოცანის გადაწყვეტას. (საკდესი).

ნორჩი თათბის დღესასწაული

თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში 18 მაისს განსაკუთრებით ზეიმური განწყობილება იყო. ნორჩი ლენინელები აღნიშნავენ სახელოვან იუბილეს — სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის დაბადების 41-ე წლისთავს. სასახლის პიონერებს კარგი ტრადიცია აქვთ — ისინი სახელოვანი საქმეებით ხვდებიან თავიანთ იუბილეს. ამ დღისათვის მოეწყო ნორჩ მხაზველთა ნაშუშევრების პირველი რესპუბლიკური დათვალიერება. მეცნიერებისა და ტექნიკის კაბინეტმა იუბილეს მიუძღვნა კონკურსი „ვის უფრო უყვარს ქიმია და ფიზიკა.“ ნორჩმა ტექნიკოსებმა დღესასწაულისათვის მოამზადეს ახალი მაკეტები და მოდელები. სიყვარულით მორთეს თავიანთი სასახლე ყვავილებით ნორჩმა ნატურალისტებმა.

მუსიკოსებმა, ნორჩ ლიტერატორთა კლუბის წევრებმა მოამზადეს ლიტერატურულ-მუსიკალური მონტაჟი, ისწავლეს ახალი ლექსები. საზეიმო მწკრივზე პიონერებმა უპატაკეს თავიანთი სახელოვანი საქმეები. რესპუბლიკის ბევრ სკოლაში იუბილესადვის მზადების დღეებში ნორჩი ლენინელები სწავლობენ ჩვენი ქვეყნის რევოლუციურ წარსულს, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, შექმნეს ვ. ი. ლენინის მუზეუმი, ლენინის ოთახები და კუთხეები, შეადგინეს პიონერული ალბომი — პირველი რაზმების ისტორია.

(საკდესი).

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 43-Ე ᲬᲚᲘᲡ № 117 (12629) | ᲙᲕᲘᲠᲐ, 19 ᲛᲐᲘᲡᲘ, 1963 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲖᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ

გაეცნენ ვ. ი. ლენინის ძეგლისა და კოსმოსის ათვისების აღსანიშნავი მონუმენტის პროექტებს

17 მაისს ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, კ. ტ. მაზუროვი, ვ. პ. მელანაძე, ლ. თ. ილიჩოვი ეწვივნენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის „მშენებლობის“ განყოფილებას ფრუნზეს სანაპიროზე და გაეცნენ ვ. ი. ლენინის ძეგლის პროექტებს.

დიდი ბელადის მონუმენტი დაიდგმება მოსკოვში ლენინის გორაზე. გამოფენის ერთ-ერთ პავილიონში წარმოდგენილია ოთხი პროექტი, რომლებიც ავტორთა კოლექტივებმა შეასრულეს მოქანდაკე ა. პ. კიბალნიკოვისა და არქიტექტორ ი. ბ. ბელოპოლსკის, მოქანდაკე ლ. ნ. გოლოვნიცკის და არქიტექტორების ვ. ლ. ვოსკრესენსკის, გ. გ. ლებედევის, ა. ბ. სამსონოვის, მოქანდაკე მ. ფ. მაზურინისა და არქიტექტორ ვ. ვ. ლებედევის ხელმძღვანელობით. აქვეა მოქანდაკე ნ. ვ. ტომსკისა და არქიტექტორ ა. ვ. ვლასოვის პროექტი.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს ახსნა-განმარტებას აძლევდნენ პროექტთა ავტორები და სსრ კავშირის სახმშენის თავმჯდომარის მოადგილე, მოსკოვის მთავარი არქიტექტორი მ ვ. პოსოხინი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა პროექტები და აღნიშნა მათი დადებითი მხარეები, ამასთანავე მან თქვა, რომ ჯერ კიდევ უდიდესი სამუშაოები უნდა განხორციელდეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დაამარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დიადი სახის შესაქმნელად. ნიკიტა სერგის-ძემ ძეგლის პროექტების ავტორებს პკითხა, ხომ არ აჯობებს გაერთიანდეთ ამ დიდი მიზნის მისაღწევადო.

მოქანდაკეებსა და არქიტექტორებს ძლიერ მოეწონათ ნ. ს. ხრუშჩოვის ეს წინადადება.

სამშენებლო გამოფენიდან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები მოქანდაკე ა. პ. ფაიდიშის სახელოსნოში წავიდნენ, სადაც საბჭოთა ხალხის მიერ კოსმოსის ათვისების აღსანიშნავი მონუმენტის პროექტს გაეცნენ. ეს მონუმენტი, რომლის სიმაღლე 90 მეტრი იქნება, უკვე შენდება მშვიდობის პროსპექტზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარი შესასვლელის მახლობლად.

პროექტის ავტორებმა არქიტექტორებმა მ. ო. ბარშჩმა და ა. ნ. კოლჩინმა, მოქანდაკე ა. პ. ფაიდიშმა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს აჩვენეს ექვსმეტრიანი პორელიეფები, რომლებიც უკვე მზად არის ბრინჯაოში ჩამოსასხმელად.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს აჩვენეს აგრეთვე გრანიტში გამოკვეთილი კ. ე. ციოლკოვსკის ხუთმეტრიანი ფიგურა, რომელიც მშენებარე მონუმენტის ნაწილი იქნება.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს თან ახლდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ტ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ფ. პრომისლოვი და სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. ე. ბირიუკოვი. (საკდესი).

ᲤᲘᲚᲛᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲘᲐᲓ ᲘᲓᲔᲔᲑᲖᲔ

მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის „რუსული სასწაულის“ საზოგადოებრივი განხილვა

ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲛᲐ მხატვრულ-დოკუმენტურმა ფილმმა „რუსული სასწაულმა“, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნიჭიერმა კინომოღვაწეებმა ანელი და ანდრე ტორნდაიკებმა შექმნეს, უკვე საყოველთაო აღიარება პოვა თავის სამშობლოში. ეს ფილმი, რომლის თემა, როგორც ავტორები ამბობენ, ნ. ს. ხრუშჩოვმა უყარნახა, მნიშვნელოვან მოვლენად იქცა მსოფლიო კინოხელოვნებაში.

16 და 17 მაისს ლენინის გორაზე სადარბაზო სასლში გაიმართა კინოსურათ „რუსული სასწაულის“ საზოგადოებრივი განხილვა. ეს სურათი მხატვრულად მკაფიოდ, ისტორიულად სწორად, დიდი სიღრმითა და პუბლიცისტურობით მგზნებარებით მოგვითხრობს საბჭოთა ხალხის დიად გამარჯვებებზე, კომუნიზმის სიდიადეზე.

ორსერიანი კინოსურათის განხილვას დაესწრნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ლ. ნ. ეფრემოვი, კ. ტ. მაზუროვი, ვ. პ. მელანაძე, შ. რ. რაშიდოვი, ი. ვ. ანდროპოვი, ლ. თ. ილიჩოვი, ვ. ი. პოლიაკოვი, ბ. ი. პონომარიოვი, ვ. ნ. ტიტოვი, ა. ნ. შელეპინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. თ. უსტინოვი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები ა. ვ. რომანოვი, ს. კ. რომანოვსკი, ვ. ე. სემიჩასტნი, მ. ა. ხარლამოვი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. პ. პავლოვი, დარბაზში იყვნენ შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლნი, საბჭოთა კინემატოგრაფიის, ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწენი.

ფილმის „რუსული სასწაულის“ გასინჯვის მონაწილენი გულთბილად მიესალმნენ კინონაწარმოების ავტორებს ანელი და ანდრე ტორნდაიკებს.

კინოსურათ „რუსული სასწაულის“ გასინჯვის შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა წაიკითხა ბრძანებულება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეთა, კინორეჟისორების ანელი ტორნდაიკისა და ანდრე ტორნდაიკის ლენინის ორდენებით დაჯილდოების შესახებ.

ლ. ი. ბრეჟნევმა დამსწრეთა ტაშის გრიალში ლენინის ორდენები გადასცა დაჯილდოებულთ.

ნ. ს. ხრუშჩოვმა დაჯილდოდა მიულოცა ანელი ტორნდაიკს და ანდრე ტორნდაიკს სურათ „რუსული სასწაულის“ შექმნა და დამსახურებული ჯილდო.

ანელი ტორნდაიკმა თავისი და ანდრე ტორნდაიკის სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის საბჭოთა მთავრობას და პირადად ნ. ს. ხრუშჩოვს. (საკდესი).

ᲛᲐᲣ ᲕᲖᲔᲘᲛᲝᲑᲗ!..

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ მწერლებმა გადაწყვიტეს აღდგინონ და მაისის თვეში იდღესასწაულონ „პოეზიის დღე“; აღადგინონ ეს მშვენიერი ტრადიცია, რომელიც, თუ ძველ ამბებს არ გამოვუდგებით, ერთხანს, აგერ დიდ სამამულო ომამდეც კი, არსებობდა საქართველოში.

ჩვენ გვწამს, რომ მთელი ჩვენი ხალხი დაგვიჭერს მხარს ამ საქმეში.

რატომაც არ უნდა ვიდღესასწაულოთ ეს დღე, „პოეზიის დღე“? თუ რომელიმე ქვეყანა დაიქადებს პოეზიის სიყვარულს, პირველ რიგში საქართველო, და ეს იმიტომ, რომ ყოველი ქართველი, მართლაც, თვითონ არის სულით პოეტი, როგორც ეს მშვენივრად თქვა დიდმა სომეხმა მგოსანმა ჰოვანეს თუმანიანმა. პოეზიის ღმერთი ქართველი კაცის სულიერი ნათესავია, ახლო ნათესავი; და ჩვენში არავინ კამათობს იმაზე, თუ რამდენად საჭირო და სასარგებლოა ეს ნათესაობა დღესაც, ჩვენს უალრესად განვითარებული ტექნიკისა და უზუსტესი მეცნიერების ეპოქაში.

პოეზია ქართველი კაცის მუდმივი და ჭეშმარიტი თანამგზავრია, მისი ნამდვილი მეგობარი ჭირსა თუ ლხინში. პოეზიამ ეს მეგობრობა ქართველ კაცს საუკუნოვანი ერთგულებით დაუმტკიცა და გაუმართლა; მან ქართველი კაცის სიყვარული საუკუნეებში დიმსახურა და არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ამ სიყვარულს იგი დღესაც იმსახურებს.

დიახ, დიმსახურა და კვლავაც იმსახურებს ჩვენი უძველესი, მშობლიური ქართული პოეზია, „სიბრძნის ერთი დარგი“... „გარემოების საყვირი...“ „ერისა მოძმე ჭმუნვასა და სიხარულში“...

ჩვენს ახალ, რევოლუციურ ეპოქაში ახალი ქართული პოეზია ხომ პირველ დღესვე ამოუდგა გვერდით ხალხს მის ბრძოლასა და ჯერარნახულ შემოქმედებითს შრომაში, დაუყოვნებელი შეძახილით: „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია“-ო.

და მერე ცუდად იდგა? არ იდგა ღირსეულად? არ ალაფრთოვანებდა? არ ამშვიდებდა? არ უნათებდა? ძალას არ მატებდა?

მაგრამ ყველაზე დიდი გამოცდა ქართველი კაცის წინაშე ჩვენმა ახალმა ქართულმა პოეზიამ დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში დაიჭირა. მან ამ განსაცდელის პირველ დღესვე დაიფიცა: „მშობლიურო ჩემო მიწავ...“ და შემდეგ რამდენ მეომარ ქართველს ამოუდგა გვერდით ბრძოლის ქარცეცხლში, რამდენი მებრძოლი გაამაგრა „ჭირსა შიგან...“ რამდენი მეომარი ქართველი ვაჟკაცის გმირობა და მაღალი სულის თრთოლვა მოჰფინა ჩვენს სამშობლოს ამ თავიდან იმ თავამდე, ხან ცეცხლიანი, ხან ცრემლიანი სტრიქონებით.

და ომის შემდეგ?

მაგრამ სჯირდება კი ვისმე ეს შეხსენება? ვის არ ახსოვს ეს ყოველივე?..

ნამდვილად, ნამდვილად უნდა ვიდღესასწაულოთ „პოეზიის დღე“, ჩვენი გმირული, ბრძნული, ჩვენი მშობლიური, უძველესი, მაგრამ მარად უტკბობი ქართული პოეზიის დღე.

და ჩვენ გვწამს, რომ ეს ჩვენი დღესასწაული, „პოეზიის დღე“ საქართველოში გადაიქცევა ნამდვილ სახალხო დღესასწაულად.

დღეს ახალი ქართული პოეზიის საუკეთესო ოსტატები წარსდგებიან ჩვენი ხალხის წინაშე. პირადად წარსდგებიან თავიანთი საუკეთესო სტრიქონებით.

მაუ ვზეიმობთ „პოეზიის დღეს“!..

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ,
პოეტი-აკადემიკოსი.

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲯᲕᲠᲘᲡ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲣᲠᲘᲚᲝᲒᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 18 მაისი. (საკდესი). სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მოწვევით მიმდინარე წლის 7-18 მაისს საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა შვეიცის საგარეო საქმეთა მინისტრი ტ. ნილსონი მეუღლითურთ.

ბ-ნი ნილსონი და მისი თანმხლები პირნი იყვნენ მოსკოვში, ერევანში, სოჭში, დონის როსტოვში, კიევსა და ლენინგრადში და გაეცნენ ამ ქალაქების სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, სოციალურ და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

ტ. ნილსონი მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და ესაუბრა. ამ საუბრის დროს ორივემ დადასტურა იმედი, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ოფიციალურ ვიზიტად ჩავა შვეიცარიაში იმის შეს

საკლესიო განცხადება

ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებმა კოსმოსურ სივრცეში გაუშვეს 400 მილიონი სპილენძის ნემსი (დიპოლი), რათა დედამიწის გარშემო 3 ათას კილომეტრზე მეტ სიმაღლეზე შექმნან ხელოვნური რკალი, რომლიდანაც უნდა აირეკლოს დედამიწის სადგურების რადიოტალღები. როგორც ამერიკის პრესა იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ორგანოებს მხედველობაში აქვთ ამ რკალის დახმარებით შექმნან კოსმოსური კავშირის სისტემა ამერიკის შეერთებული შტატების რაკეტული ძალებისა და სტრატეგიული ავიაციის მართვისათვის ომის შემთხვევაში. ამასთან დაკავშირებით საკდეს დავალებული აქვს განაცხადოს შემდეგი.

ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებიც ატომური ომისათვის ემზადებიან, თანდათანობით აფართოებენ კოსმოსური სივრცის გამოყენებას ამ მიზნით, რაც ეწინააღმდეგება ყველა ხალხის საარსებო ინტერესებს. საცდელ ატომურ აფეთქებებს დიდ სიმაღლეებზე, რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განახორციელეს შარშან, ახლა ემატება სამხედრო ექსპერიმენტები კოსმოსში — მილიონობით სპილენძის ნემსის გაშვება. ამასთან ამერიკის მხედრიონი სავსებით უფლებელყოფს იმ საშიშ შედეგებს, რომლებიც შეიძლება მოუტანოს კაცობრიობას დედამიწისახლო სივრცის დანაგვიანებამ ასეთ ექსპერიმენტთა შედეგად.

ამასთანავე, მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ მილიონობით სპილენძის ნემსის სარტყელის შექმნას კოსმოსში შეიძლება მოჰყვეს შორს გამიზნული შედეგები, აგრეთვე გაანელოს კავშირი კოსმოსურ ხომალდებთან, რომლებმაც უნდა იფრინონ მთვარისა და მზის სისტემის პლანეტებისაკენ. აღარაფერს ვამბობთ უკვე იმაზე, რომ ამ ექსპერიმენტებს შეუძლიათ სერიოზულად შეუშალონ ხელი აგრეთვე ასტრონომიის მეცნიერულ შუშამას, რომლებიც ციურ სხეულებს სწავლობენ რადიოტელესკოპების დახმარებით.

ამიტომ აღვილი გასაგებია ის დიდი აღშფოთება, რასაც საერთაშორისო სამეცნიერო წრეები გამოთქვამენ ამერიკის შეერთებული შტატების იმ მოქმედების გამო, რომ გაუშვეს სპილენძის ნემსების დიდი მასა დედამიწისახლო სივრცეში. ჯერ კიდევ 1961 წელს, როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პირველად განახორციელეს ასეთი ექსპერიმენტი, რომელმაც მაშინ მარცხი განიცადა, მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მეცნიერებმა მტაცეე პროტესტები გამოთქვეს და დაგმეს კოსმოსში თვითნებობის ეს აქტი. კოსმოსის დანაგვიანების წინააღმდეგ მაშინ ხმა აღიმაღლეს საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის გენერალურმა ასამბლეამ, სსრ კავშირის, საფრანგეთის, ბელგიისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიებმა, მსოფლიოში სახელგანქმულმა მეცნიერებმა. კემბრიჯის უნივერსიტეტის ასტრონომიის პროფესორმა ჰოილმა სპილენძის ნემსების რკალის შექმნას დედამიწის გარშემო უწოდა „დიდი დანაშაული გონების წინაშე“, ცნობილმა ინგლისელმა ასტრონომმა ლოველმა განაცხადა, რომ „კოსმოსის დანაგვიანების გამართლება არ შეიძლება“. მიმდინარე წლის 13 მაისს ლოველმა ერთხელ კიდევ დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების ექსპერიმენტები — სპილენძის ნემსების გაფანტვა კოსმოსში, და განაცხადა, რომ ეს ექსპერიმენტები ხორციელდება მიუხედავად ასტრონომიის დარგის საერთაშორისო ავტორიტეტების აზრისა. და რომ ნემსების გაშვება კოსმოსში მავნე გავლენას მოახდენს კოსმოსის კვლევის განხორციელებაზე.

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების ის წრეები, რომლებიც ატომურ ომს ამზადებენ, როგორც ფაქტები ცხადყოფენ, არ აპირებენ ანგარიში გაუწიონ არც მეცნიერთა პროტესტებს კოსმოსში განხორციელებული საშიში ექსპერიმენტების წინააღმდეგ, არც იმას, რომ მთელი კაცობრიობა დაინტერესებულია კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი კვლევით.

ამ დანაშაულებრივი ექსპერიმენტის ორგანიზატორები ცდილობენ დაამტკიცონ ახლა, თითქოს 400 მილიონი ნემსის სარტყლის შექმნა კოსმოსში არ წარმოადგენს მნიშვნელოვან საფრთხეს მშვიდობიანი კოსმოსური კვლევისათვის. მაგრამ ჯერ კიდევ გვახსოვს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა ზუსტად ასეთივე განცხადებანი შარშან, დიდ სიმაღლეზე ატომურ აფეთქებათა მოწყობის წინ. მაშინ ისინიც ყოველი ღონისძიებით ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ სამეცნიერო ექსპერიმენტების მოწყობას კოსმოსში. მაგრამ მალე ამერიკის შეერთებული შტატები იძულებული გახდნენ ეღიარებინათ, რომ დაშვებულია „შეცდომა“, რადგან სინამდვილეში ატომუი აფეთქებებს კოსმოსურ სივრცეში მოჰყვა ხანგრძლივი ცვლილებანი დედამიწის გარემოში, კერძოდ, რადიაციის ახალი სარტყელების წარმოქმნა. თვითონ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, მათი საკუთარი აღიარებით, ამ ცვლილებათა შედეგად დაკარგეს კავშირი დედამიწის რამდენიმე ხელოვნურ თანამგზავრთან. ვინღა დაუჯერებს ახლა მტკიცებებს, თითქოს უვნებელი იყოს მილიონობით სპილენძის ნემსის გაშვება კოსმოსურ სივრცეში?

400 მილიონი სპილენძის ნემსის გაშვება კოსმოსში, რაც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებმა განახორციელეს, ახლა შუქს ჰფენს იმ უარყოფით პოზიციასაც, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს უკავიათ კოსმოსურ სივრცეში ხახელმწიფოთა საქმიანობის საერთაშორისო სამართლებრივი მოწესრიგების საკითხში. ეს საკითხი უკვე მეორე წელია განიხილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში — გენერალური ასამბლეის, კოსმოსის კომიტეტისა და მისი იურიდიული ქვეკომიტეტის სესიებზე.

საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად იბრძვის იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე იქნეს შეთანხმებული ძირითადი სამართლებრივი პრინციპები სახელმწიფოთა საქმიანობისა კოსმოსში, და იმისათვის, რომ სახელმწიფოებმა იკისრონ შესაბამისი მტკიცე საერთაშორისო ვალდებულებანი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კოსმოსის კომიტეტის იურიდიული ქვეკომიტეტის ამასწინანდელი სესიაზე საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენებისთვის სახელმწიფოთა საქმიანობის ძირითადი პრინციპების დეკლარაციის პროექტი, რომლის შედგენის დროს გათვალისწინებულია მთელი რიგი ქვეყნების მოსაზრებანი და სურვილები. დეკლარაციის პროექტში დიდნაშვილოვანი ადგილი უკავია დებულებებს, რომლებიც მომართულია სხვადასხვა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ კოსმოსში, მათ შორის დებულებას იმის შესახებ, რომ ზოგიერთი სახელმწიფოს ღონისძიებანი, რომლებსაც შეუძლიათ გაანელონ კოსმოსური სივრცის კვლევა ან გამოყენება სხვა სახელმწიფოთა მიერ, არ უნდა ხორციელდებოდეს ისე, რომ არ იყოს ყველა დაინტერესებული მხარის თანხმობა.

ეს წინადადებანი რომ წამოაყენა, საბჭოთა მთავრობა ხელმძღვანელობდა გუსიმაღლეზე ატომურ აფეთქებათა მოწყობის წინ. მაშინ ისინიც ყოველი ღონისძიებით ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ სამეცნიერო ექსპერიმენტების მოწყობას სამხედრო ექსპერიმენტების ძირითადი ნიშანი — ატომური ბომბის ფეთქებისა ან ატომური ბომბის ფეთქებისა ან ატომური ბომბის ფეთქებისა ან

გამოჩენილი მსახიობი, საზოგადო მოღვაწე

გულმართალი ხელოვანი

მეცხრამეტე საუკუნის 80-იანი და 90-იანი წლები მეტად საინტერესო და ნაყოფიერი ხანაა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიაში. ლიტერატურისა და თეატრალური ხელოვნების სარბიელზე გამოვიდნენ შუბლიური კულტურის ადმავლობის ფრიად მოწადინებული მწერლები, მსახიობები, საზოგადო მოღვაწეები.

ჩვენს სცენას ამ დროს ამშვენებდა მსახიობთა ბრწყინვალე პლეადა — ვასო აბაშიძე, მაკო საფაროვ-აბაშიძე, ნატო გაბუნია-ცაგარელი, ლადო მესხიშვილი. ქართულ თეატრს მათ ჩაუყარეს მყარი საძირკველი.

ამ შესანიშნავ თაობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ვალერიან გუნიას. იგი მრავალი წლის მანძილზე იღვწოდა და იბრძოდა, რათა ქართული თეატრის ბედი სწორი და სასიკეთო გზით წარმართულიყო. ვალერიან გუნიას შემოქმედებითი მოღვაწეობა არ შემოიფარგლებოდა მარტოოდენ სამსახიობო პროფესიით. იგი წლების მანძილზე სათავეში ედგა ქართულ თეატრს როგორც ღირსეული ხელმძღვანელი, რეჟისორი, დრამატურგი და თეატრალური ხელოვნების თეორეტიკოსი.

შესანიშნავი მსახიობი, უზადო შემსრულებელი ოთარბეგის როლისა ა. სუმბათაშვილის „დალატში“, ღრმა და ემოციური ოტელო და მეფე ლირი, ქართულ სცენაზე დაუვიწყარი მხატვრული სახეების მთელი გალერეის შემქმნელი — ვალერიან გუნია, სასცენო მუშაობასთან ერთად, ჩვენი კულტურული ცხოვრების ყველა უბანზე მრავალმხრივ და ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა.

ვ. გუნია, მოწინავე ადამიანი და მოაზროვნე, ჩვენი დიდი მწერლების ილიასა და აკაკის ახლო მეგობარი იყო. ამავე დროს გზას უკაფავდა, ხელს უწყობდა და შემოქმედებითი მუშაობისკენ მოუწოდებდა მაშინდელ - ახალგაზრდა დრამატურგებს — აკაკი სეფენტ ცაგარელს, ალ. ყაზბეგს და სხვ.

წლების მანძილზე იყო რედაქტორი მთელი რიგი სალიტერატურო, თეატრალური ჟურნალ-გაზეთებისა და პირუთვნელად ამხილებდა ყოველგვარ უნიათობას, სილაჩრეს, ჩამორჩენილობას, უკულმართობას.

გუნიამ დატოვა მდიდარი მემკვიდრეობა თეატრალური ხელოვნების თეორიასა, დრამატურგიასა და პუბლიცისტიკაში. ეს მემკვიდრეობა საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს.

გავიხსენოთ თუნდაც ნაშრომი „ქართული თეატრი“, დაწერილი 1889 წელს. კითხულობთ გამჭრიახი მოაზროვნის ამ ნაწარმოებს და აღტაცებაში მოდიხართ მისი საღი, შორსმჭვრეტელური მსჯელობით. თქვენს წინ ისახება 80-90-ანი წლების პროგრესულად მოღვაწეთა პლეადის ბრწყინვალე წარმომადგენელი, რომლის ნაწარმოებებს დღესაც არ დაუკარგავს აქტიური სოციალური ძალერადობა.

„ქართული თეატრი“ დაიწერა სასცენო ხელოვნების განვითარების იმ ხანაში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული სამსახიობო შემოქმედების რაიმე გარკვეული სისტემა, არ იყო მტკიცედ მოხაზული რეჟისორის რული მსახიობის აღზრდისა და თეატრის ორგანიზაციის საქმეში.

აი გავიხსენოთ, რას მოითხოვს ვ. გუნია ჭეშმარიტი მსახიობისაგან:“... აკაკი (ე. ი. სცენაზე — დ. ა.), როგორც მწერლობაში, უწინარეს ყოვლისა საჭიროა მართალი, უტყუარი, უმეტნაკლებო გამოსახულება ადამიანის ბუნებისა“. მხატვრულ განზოგადებამდე აყვანილი ცხოვრებისეული სიმართლის განსახიერება სცენაზე — ეს არის მსახიობის უპირველესი მიზანი და დანიშნულება. სრულყოფილი მხატვრული სახის შესაქმნელად მარტოოდენ მომბაძველობითი ნიჭი როდია საკმარისი. „...მომბაძველობის უნარი მხოლოდ ხელისშემწყობი გარემოებაა. ქმნა სცენაზე თხოულობს დიდ შინაგან სულიერ და გონიერ ძალღონეს“. მხოლოდ ხანგრძლივ შემოქმედებით ძიებათა და მიგნებათა შედეგად, რაც მსახიობისაგან მოითხოვს გონივრული დაკვირვების უნარს, მგზნებარე ემოციასა და მდიდარ ფანტაზიას, ხორცი ესხმება სცენურ სახეს, და ზოგჯერ ისეც კი ხდება, რომ მსახიობის მიერ განხორციელებული როლი უფრო დამჯერებელი და სრულყოფილია, ვიდრე დრამატურგიული მასალა.

ვ. გუნია აღნიშნავს: „...ზოგჯერ მწერალი მეტად ძუნწად ისახავს მოქმედ პირს, ხშირად ყალბიც არის, მაგრამ ნიჭიერი აქტიორი ისეთს სრულსა და უტყუარ სურათს ადგენს, რომ არამც თუ მაყურებელი, თვითონ მწერალი — მამა ვერ იცნობს თავის ყალბ მოქმედ პირს — მახინჯ შვილსა...“

ასეთსავე მაღალ მოთხოვნას უყენებს ვ. გუნია რეჟისორს: „...საჭიროა თეატრის ხელმძღვანელად იყოს ყოველისფერით დახელოვნებული, ესთეტიური გემოვნებისა, კრიტიკული ჭკუის, ცოდნის და განვითარებული გონების პატრონი, ესე იგი, რეჟისორი, რომელიც არტისტების და საზოგადოდ სცენის სრული ბატონი უნდა იყოს...“

ვ. გუნიას გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდა ორიგინალური, ქართული პიესების შექმნა. „ისეთი პირობები უნდა დაიბადოს, რომ მწერლებს ეხალისებოდეთ სცენისათვის წერა და მუშაობა“, — წერს იგი.

ამავე დროს ვ. გუნია სწორ მოთხოვნებს უყენებს დრამატურგიას. მისი აზრით არ არის საკმარისი, რომ მწერალმა რეალურად ასახოს სინამდვილე, შეიზღუდოს წვრილმანი ყოფაცხოვრებითობის ჩვენებით. თანადროულობის დიდი სოციალური პრობლემების გამოტანა სცენაზე, ეპოქის მოწინავე იდეის ქადაგება — აი რა აამაღლებს მწერალს, აი რა გახდის დიდ შემოქმედად.

ეცნობით ვ. გუნიას მდიდარ მემკვიდრეობას და გზიბლავთ მისი ნათელი, საღი და ყოველთვის პრინციპული მოსაზრებები. მისთვის უცხოა შეგუების გრძნობა, ხათრიან გულისთვის დათმობა, პირფერობა. მისი რწმენა მუდამ მტკიცე და ურყევია.

ვ. გუნიას ნაწარმოებები, როგორც თეორიული, ისე დრამატურგიული, დაწერილია მომხიბლავი, ძარღვიანი, მადლიანი ქართული ენით. ეს არის არა ხელოვნური, არამედ თვითმყოფი და მძლავრად მყღერი ილიასებური ენა... ტყუილად არ უწოდებდნენ ვ. გუნიას ქართული თეატრის ილიას!

ღვაწლმოსილად და გულმართლად შეხვდა ვ. გუნია საქართველოს ახალ ცხოვრებას. თუ პირველად ჩვენი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი ერთგვარად დაიბნა, ვ. გუნიამ მტკიცე გეზი აიღო და კვლავინდებურად იღვწოდა ქართული საბჭოთა თეატრის ბედისათვის. წლების მანძილზე იგი ნაყოფიერად ხელმძღვანელობდა ხელოვნების მუშაკთა პროფესიულ კავშირს. მან იწამა საბჭოთა ქართული თეატრის მსახიობთა ახალგაზრდა თაობა და თამამად ამოუდგა მხარში.

ქართული თეატრის დიდმა მოამაგემ ღირსეული სახელი დაგვიტოვა. ვ. გუნიას ცხოვრება და მოღვაწეობა მუდამ სანიმუშო და მისაბაძი იქნება.

დოდო ანთაძე,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

ეს სურათი ვალერიან გუნიას სამახსოვრო წარწერით უჩუქებია რესპუბლიკის სახალხო არტისტ ნინო ჩხეიძისათვის ჯერ კიდევ 1902 წელს.

თეატრის სინდისი

ხვალ აღინიშნება ვ. გუნიას, როგორც მას ეძახდით, ძვირფასი ვალიკოს დაბადების ასი წლისთავი. რა სიამის გრძნობის მომგვრელია ვალერიან გუნიას გახსენება. რა უნდა ვთქვა ისეთი, რაც არ თქმულა და არ ითქმის. ის იყო ძველი ქართული თეატრის სინდისი და პატიოსნება, მისი ერთგული გუშაგი, მისი გულმართალი და უშიშარი რაინდი. შალვა დადიანის სიტყვები რომ მოვიშველიო, იგი მუდამ ჩვენთან იყო, ჩვენს დედამიწაზე ფეხი მტკიცედ ედგა, არ ირყეოდა.

ვალიკომ თავი მარტო მსახიობობით არ შემოიფარგლა. ამავე დროს იგი იყო დიდი საზოგადო მოღვაწე, სამშობლოს კეთილდღეობისათვის მზრუნავი. ჩვენს დარიბ თეატრს ვინა კვებავდა პიესებით, თუ არა ვალიკო. განა გასულა ისეთი სეზონი, რომ ვალიკოს ორიგინალური ან ნათარგმნი პიესით არ გაემდიდრებინოს ჩვენი თეატრის რეპერტუარი! ცოდვა გამოტეხილი სჯობს: ჩვენ, მსახიობებს, გვიყვარს მომგებიანი როლები. ვალიკოში კი სრულიად არ იყო პრემიერებისათვის დამახასიათებელი ყოულოჩინობა. თუ პიესის ინტერესები მოითხოვდა, ის სრულიად უსიტყვო როლში გამოვიდოდა. მახსოვს — ქუთაისში ვდგამდით შილერის „მარიამ სტიუარტს“. პიესაში არის უსიტყვო როლი ჯალათისა. ვალიკომ თვითონ იკისრა ამ როლის შესრულება და ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ როდესაც ჯალათმა აღმართა ცული პიესის გმირი ქალის თავის მოსაკვეთად, ხალხში შეძახილები გაისმა, არა, არა, ნუ მოჰკლავო, იმდენად ძლიერი იყო შთაბეჭდილება.

შალიკაშვილის „გადაჭრილ მუხაში“ მეეზოვის ორფრაზიანი როლი იკისრა და ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ახლაც კი ჩემი მეხსიერებიდან არ ამოშლილა. გუნიას ოთარბეგი განუმეორებელი კლასიკური სახე იყო. მახსოვს — ერთხელ კულისებში გვეწვია პიესის ავტორი ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი და ვალიკოს უთხრა:

— საყვარელო ვალიკო, შენ პირდაპირ სასწაულმოქმედად ამ როლში. არც ერთი ყალბი ნოტა არ იერძნობა.

როდესაც ვალიკომ თავი დაიმდაბლა და სუმბათაშვილი შეაკო, სუმბათაშვილმა სიტყვა შეაწყვეტინა, არა, მე შენთან როგორ ძოვალ, აე რაღაც უშნო ვარ ოთარბეგის როლშიო.

ერთ-ერთ პიესაში, როდესაც ის გენერალს ასრულებდა, მე მათაძაშა პატარა ეპიზოდური როლი — მოსამსახურე ბოგოსი. როგორც იმერელ ქალს, ჩვეულებად მქონდა სიტყვა ბაჩას წარმოთქმა, რეპეტიციის დროს ჩაებღაუტა ამ სიტყვას და ჩამაცივდა რამდენჯერმე გამამეორებინა. მართლაც, ჩემს ბაჩას დიდი მოწონება ჰქონდა თბილისში.

ბევრი ახალგაზრდის გამოვლინებას შეუწყო ხელი გუნიამ. განა მისი შემწეობით არ გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე ჩვენი ცნობილი პოეტი სოსო გრიშაშვილი!

გუნიას ინიციატივით იმართებოდა ეგზეთწოდებული გამოსაცდელი წარმოდგენები, მისი ინიციატივით გამოვლინდნენ ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო მსახიობები: ნინო დავითაშვილი, ცაცა ამირეჯიბი, ელო ანდრონიკაშვილი, მარო მდივანი, ოლღა ლეონავა, აგრეთვე ვაუები, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ამ დიდ საქმიანობასთან როგორ ათავსებდა ოჯახისადმი ესოდენ დიდ უურადღებასს! თავის პატარა პირმშოს — ვალიკოს თვითონ ბანდა, აცმევდა, ვარცხნიდა.

ვალიკო მუდამ მედგრად იცავდა მსახიობებს და სასტიკად ებრძოდა ყველას, ვინც მათს დაჩაგვრას მოინდომებდა. იგი მსახიობთა მამა იყო. ან რომელი მშობელი ზრუნავდა შვილებზე ისე, როგორც ვალიკო ჩვენთვის. ამიტომ იყო, რომ ვალერიან გუნია, ჩვენი თეატრის ეს უდრეკი მუხა, მსახიობთა ოქროპირი, თეატრის მესაჭე და რკინის რაინდი, ასე უყვარდა ყველას!

მახარებს მოხუცს ვალიკოს გახსენება. ხალხი ბრძენია და თავის ღირსეულ და ამაგდარ შვილებს არ ივიწყებს.

ნინო ჩხეიძე,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

მამულის სიყვარულით

თავაკაცი იყო ჭირსა და ლხინში. არ ყოფილა არც ერთი ისეთი დიდი საქმე, საყურადღებო მოვლენა, რომელშიც წილი არ ედოს ამ კეთილგონიერ, გულისხმიერ, უანგარო ადამიანს, დაუცხრომელ მოამაგეს, თავისი ქვეყნის დიდებულ მეჩირნახულეს. დარბაისელი, დინჯი, მართლა ოქროპირი — მუდამ ასე წარმომიდგება ქართული სცენის შესანიშნავი ქურუმი ვალერიან გუნია.

ბევრი რამ მახსოვს ამ დიდებულებოგანი მამულიშვილის ცხოვრებიდან. ჩაფიქრებული მქონდა მოგონებათა ფურცლების გამოკვეყნებაც, მაგრამ ჯერჯერობით ეს მიმრჩა. ვიტყვი გულახდილად, ჩემი პირველი მეკვლე პოეზიაში ვალერიან გუნია იყო.

რა დამავიწყებს დიდი ილიას ვერაგულად მოკვლის წელს. მთელი საქართველო დასტიროდა ერის სულმთათის ცხედარს. ცხადია, ქართული მწერლობის ყველა გულშემატკივარმა და მათ შორის მეც, ჯერ კიდევ ჭაბუმა, ღრმად განიცადე წიწამურის სამნელი ტრაგედია, დავწერე რვასტრიქონიანი ლექსი ილიას სიკვდილზე და შიო მღვიმელს ვთხოვე ვალერიან გუნიასთვის გადაეცა ჟურნალ „ნიშადურში“ დასაბეჭდად. მაშინ იგი ამ საინტერესო ლიტერატურულ და იუმორისტულ ჟურნალს რედაქტორობდა.

გუნიამ დაბეჭდა ი. ჭავჭავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჩემი პატარა ლექსი. მართალია, სამწუხარო მოვლენას გამოვეხმაურე ცრემლნარევი სტრიქონებით, მაგრამ, როგორც დამწყებ პოეტს, ეს დებიუტი იმედს მაძლევდა, მომავლის რწმენას მინერგავდა.

მინდა მოვიგონო ქართულ თეატრში მუშაობის წლები. ჩემმა მკითხველებმა იციან ალბათ, რომ სიჭაბუკე ეროვნულობით დავიწყე. კარგად მახსოვს ჩვენი გამოჩენილი მსახიობის გაფრთხილება, როცა სუფლორის სკამს მივუჯდებოდი და „ლამპის შუქზე ვიწყებდი სიტყვის მიწოდებას:

— სოსო, არ დაგავიწყდეს, პირველი სიტყვა თქვი გარკვევით, დანარჩენს თვითონ ვიტყვი.

და სწორედ ასეც იყო. გუნია მთელი განცდით წარმოთქვამდა ამა თუ იმ მოხოლოგს და დაუვიწყარ სცენიურ სახეიერებას მისცემდა, სულს ჩაუდგამდა ყოველ სიტყვას. ყოფილა შემთხვევაც, თუ ჩემს ნათქვამ სიტყვას ვერ ვიგონებდა, თვითონ ქმნიდა ახალს, როლის შესაფერისს და ისე მოხდენილად იტყოდა, რომ ზოგჯერ ეს ახალი ტექსტი ნათქვამსაც სჯობდა.

თეატრით სუნთქავდა, ხალხის სიყვარულით სულდგმულობდა ჩვენი დიდი მამულიშვილი. ასზე მეტი ორიგინალური და ნათარგმნი დრამატურგიული ნაწარმოები დაუტოვა მან ქართველ საზოგადოებრიობას. ხალხმა შეიყვარა და განსაკუთრებული მოწონებით მიიღო მისი „აღლუმი“, „სიძე-სიმამრი“, დედისერთა“, „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“ და მრავალი სხვა კარგი ნაწარმოები. ჯერ კიდევ რევოლუციამდე გამოიცა ვალერიან გუნიას ნაწერების ორტომეული და ბიბლიოგრაფიულ ეშვიათობას წარმოადგენს ახლა.

დიდი ნიჭით დაჯილდოებული გუნია ყველა დიდი წვეულების უბადლო თამადაც იყო. ჩინებულად, უზადოდ მიჰყავდა ქართული სუფრა, ისევე როგორც ოთარბეგის როლი სუმბათაშვილის „დალატში“. მას ერთი წამითაც არ უღალატნია მშობელი ხალხისათვის თავისი მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში.

ვალერიან გუნიას მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო სამშობლოს და უკვდავყო თავისი თავიც ღვიძლი მამულის უსაზღვრო სიყვარულით.

ი. გრიშაშვილი,
საქართველოს სახალხო პოეტი.

ROGORC BERMUXA

ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწე ვალერიან გუნია ჩემს მეხსიერებაში მუდამ ცოცხლობდა. ჯერ კიდევ ჩემი ბავშვობისას იგი ჩვენი ოჯახის ხშირი ატუმარი იყო. ჩემთვის მისი სტუმრობა დღესასწაული იყო. მე ყველაფერი მხიბლავდა მასში: მშვენიერი გარეგნობა, გამოკვეთილი სახე, მომხიბლავი ღიმილი, რომელიც ტუჩებში ეპარებოდა, დაბალი ხავერდოვანი ხმა, და განსაკუთრებით ის, რომ მუდამ მაკითხებდა ლექსებს, მოსწონდა ჩემი კითხვა, მაქებდა, მიალერსებდა.

შემდეგ, მოწაფეობის დროს, ვალერიან გუნიასთან არის დაკავშირებული ყველაფერი, რამაც თეატრი შემაყვარა.

დარბაისელი, დინჯი, თითქოს დამშვიდებული, მაგრამ, შინაგანი ტემპერამენტით აღსავსე, მაგარი, ვით ფუძა, ენერგიული, ხან მრისხანე, ხან ლმობიერი, კეთილი — ასეთი მახსოვს გუნია სცენაზე და მახსოვს მისი თავისებური ინტონაცია და მეტყველების მუსიკალობა. მისი ოთარბეგი „დალატი“-დან ახლაც მიდგას თვალწინ. როგორც ლომი დიდი ნაბიჯებით სერავდა აცენაა, მის დაბალ ხმაში გმინვა ისმოდა, გონება და გრძნობა იბრძოდა მასში, და ჩვენ სულგანაბულნი მღელვარებით აღვიქვამდით მის მოქმედებას. მრავალჯერ მინახავს გუნია აცენაზე, მაგრამ უფრო მეტი მსმენია მასზე.

გუნია — მსახიობი, რეჟისორი, ანტრეპრენიორი, დრამატურგი, რედაქტორი, გაზეთის დამაარსებელი, კრიტიკოსი — ერთი სიტყვით, არ არსებობდა კულტურია არც ერთი დარგი, რომ მას არ მიეღო აქტიური მონაწილეობა.

მაგრამ ვალერიან გუნია მარტო .ამას არ სჯერდებოდა. ის მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში, ბეჭდავდა პროკლამაციებს, არიგებდა სახლებში, გამოდიოდა მგზნებარე სიტყვებით.

შესანიშნავი ბიოგრაფია აქვს ვალერიან გუნიას; ის იყო ერთერთი მაგარი ფუძე ძველი ქართული თეატრისა, გამოჩენილი მოღვაწე და დიდი მოამაგე ქართული კულტურის და იმდროინდელ საზოგადოებრივი ცხოვრებისა. მას უზომოდ უყვარდა თავისი საამშობლო, ოცნებობდა მის განთავისუფლებაზე, და აკი მოესწრო კიდეც.

ვ. ანჯაფარიძე,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

ᲡᲕᲐᲚ ᲝᲞᲔᲠᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ხვალ, ორშაბათს, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართება ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲒᲣᲜᲘᲐᲡ დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი, ვალერიან გუნიას იუბილეს მომწყობი კომისიის თავმჯდომარე **ᲗᲔᲠᲔᲖᲘᲜᲐ ᲒᲣᲜᲘᲐ.**

მოხსენებას ვ. გუნიას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ წაიკითხავს კრიტიკოსი **ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ ᲫᲚᲔᲜᲘ.** სიტყვებითა და მოგონებებით გამოვლენ მსახიობები, მწერლები, თეატრალური ხელოვნების მოღვაწეები.

ᲠᲐᲘᲜᲓᲘ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ თეატრი განებივრებული იყო ტალანტებით, ბრწყინვალი მსახიობთა მაღალი შემოქმედებით.

თეატრს თავს ევლებოდნენ უბადლო პატრიოტები, რომელნიც მას დიდროვნული მეობის დასაცავ კერად სთვლიდნენ.

„ქართული თეატრიდან ისმის ქართული სიტყვა — მოვუაროთ, შეეინახოთ“, — აი დიდი ილიას მრწამსი, მისი გული, მისი გონება.

ჩვენს თეატრს მალამოსავით ედებოდა ვასო აბაშიძის ღიმილი, ამშვენებდა ლადო მესხიშვილის ოლიმპიური სილამაზე, აგვირგვინებდა კ. ყიფიანის და ვ. გამყრელიძის კეთილშობილება, სიდარბაისლე.

ქართულ თეატრს ცეცხლს უკიდებდა ალ. იმედაშვილის უსაზღვრო ტემპერამენტი, ასულდგმულებდა გ. არადელიანშხნელის ბუნება.

მაგრამ ახლა, როდესაც ქართველი ხალხი აღნიშნავს ვალერიან გუნიას დაბადების 100 წლისთავს — ჩემს მეხსიერებაში წარმოსდგება „ბებერი ლომი“ (რა ვქნა, გვიან შევხედი, გვიან გავიცანი), რომელსაც ათეული წლების განმავლობაში ხელთ ეპყრა ქართული თეატრის დარიც და ავდარიც.

ქართულ თეატრს მუდამ ემახსოვრება წარსულში — გაჭირვების და ბრძოლების წლებში მისი ორგანიზატორი — იდეოლოგი, დიდი აქტიორი, სცენისა და ჩვენი წარსული ცხოვრების შემართული რაინდი ვ. ლ. გუნია. მე მისი სასცენო შემოქმედების და მისი საგიერგინო ოთარბეგის შემფასებელი ვერ გავხდები (ბუტკის თვალებით რომ გუმზერდი და გულით შევიგრძნობდი). მე მხოლოდ გავიხსენებ ორ პატარა ეპიზოდს ამ დიდ ადამიანთან შეხვედრისას.

1923 წელი. ბორჯომი. კ. მარჯანიშვილის ქართული დრამატული დასი და მომავალი სეზონისათვის გაცხარებული რეპეტიციები. ჩვენ, სათეატრო ინსტიტუტის 15-20 სტუდენტი, წოლვაში ვართ ჩვენს ხელმძღვანელთან — აკ. ფაღავასთან ერთად. მეცადინეობა და დასვენება.

ხმა დაირხა: მოსკოვიდან, სამხატვრო თეატრიდან თბილისში ჩამოვიდა ცნობილი რეჟისორი-პედაგოგი ვ. მჭედლიშვილი ახალგაზრდების მოსკოვში წასაყვანად. მას სურდა ქართული დრამატული სტუდიის დაარსება. დაარსა კიდეც და ბევრმა ჩვენმა მსახიობმა და რეჟისორმა დაამთავრა და დღესაც ემსახურებიან შშობლიურ სცენას.

მე გულმა თამაში დამიწყო. მოსკოვისკენ მიმიწევს გული. ერთ კვირადღეს წაღვერის სადგური სავსეა დამსვენებლებით — „რქიან მატარებელს ელიან. უცებ შემომესმა ძლიერი, ხავერდოვანი, მოღუღუნე ბანი: „უმაწვილო! გავიგე მოსკოვში გდომებია წასვლა. კარგი აზრია! უნდა წახვიდე, რათა ღრმად შეიცნო მაღალი აქტიორული ხელოვნების საიდუმლოება. მაგრამ ყოჩაღად კი უნდა იყო!

— ეს ვალერიან გუნია იყო.

რა თქმა უნდა, მე არსად არ წავსულვარ და ამაში „ბრალი“ მიუძღვის ჩემს საყვარელ რეჟისორს სანდრო ახმეტელს:

— ბიჭო! კოტე აქ არის, და სად ჯანდაბაში მირბიხარ?

მეორედ გუნიასთან ჩემი შეხვედრა მოხდა რუსთაველის თეატრის წინ. სადაც ახლა სალაროებია, იქ ერთი დარაბა ეკიდა ფილარმონიის დირექციას. საკონცერტო ჰოხორარით ჯიბეები ჩასუქებული მქონდა. ესაუბრობდით დ. ანთაძე, მსახიობები. ხელჯოხით ჩამოიარა ნაავადმყოფარმა ვალერიან ლეკანის-ძემ. მისისმენის შემდეგ გადმომცა კონვერტი. დაუყოვნებლივ გავხსენი კონვერტი და ვკითხულობ. ყველა დაინტერესდა. ჩემთვის განკუთვნილი ბარათი ასე იწყებოდა. „ჩემო თმახუჭუჭა ბიჭო!“ და მთავრდებოდა „შენი ვალიკო გუნია“. რაც შეეხება ჩემთვის დაწერილ სახუმარო ფელეტონს (ესტრადიდან უნდა წამეკითხა) იწყებოდა ასე: „ღმერთმა გვაშოროს...“ და ბოლოს კი „და გოძიაშვილის დეკლამაციას“. ბევრი ვიცინეთ. დოდოს შევეხვეწე გაებედა და დაეპატიჟებინა ვალერიან ლეკანის-ძე. მადლობა გადავიხადა და თქვა:

„— სიამოვნებით, უკადრისა და ამპარტავანი არ გეგონოთ!“

ოპერის პირდაპირ ახალი სასაუზმე გიეხსნათ, ეგრეთწოდებულ „ამერიკულ ყაიდაზე“. არავითარი სკამი — მხოლოდ ფეხზე დგომით უნდა შექცეულიყავი.

დიდი პატივი ვეცით მხცოვან მოღვაწეს. დაიღალა ნაავადმყოფარი, მგონი ღვინომაც დასძლია.

რა თქმა უნდა, სკამი მიართვეს.

საღამოს მივაცილეთ სახლამდე. გამომშვიდობებისას „ბებერ ლომს“ თვალებზე შევამჩნიე ვერცხლივით მოციმციმე ცრემლები.

ეს ჩემთვის წარმოუდგენელი იყო.

სად გუნია და სად ცრემლები!

ᲕᲐᲡᲝ ᲒᲝᲫᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ დიდი ხელოვნება თანამედროვეა. ამიტომ არის, რომ ასე გვაღელვებს და სულიერ ცხოვრებაში დღესაც ასე ღრმად იჭრება ჩვენს წინაპართა საუკეთესო შემონაქმედი.

ჩემთვის, როგორც მსახიობისათვის, ამ თვალსაზრისით არის განსაკუთრებულად საინტერესო ვ. გუნიას საიუბილეო დღეები.

მე დიდად მხიბლავს ვ. გუნიას მოღვაწეობის მრავალმხრივობა, მისი ინტერესების სიფართოე. იგი ამ მხრივ მართლაც განსაკუთრებული მოვლენა იყო. მისი ზრუნვა და ყურადღება არ მოკლებია ხელოვანთა მრავალთაობას. იგი იყო ყველას მოსიყვარულე, მრჩეველი და მოიმედე. იგი თავისებურ კოლორიტს ქმნიდა ახალ ქართულ თეატრშიც. დადიოდა მუდამ მხნედ და ამაყად. ღირსების ეს გრძნობა წარმოსდგებოდა მისი ღრმა სიყვარულისა სამშობლოსადმი. მან არ იცოდა თურმე დაძაბუნება თვით ღრმა მოხუცებულობის ჟამსაც.

თავი ეჭირა ისე, როგორც ეს შვენოდა ქართული თეატრის რაინდს. რუსთაველის თეატრი 1933 წელს საგასტროლოდ რომ მიემგზავრებოდა, თურმე ავადმყოფი ადგა და სადგურზე გავიდა. ეს ფაქტი უბის წიგნაკში ასე ჩაუწერია: „დღეს რუსთაველის თეატრი სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით გაემგზავრა მოსკოვში. მეც გამოველ ვაგზალზე გასაცილებლად, გამოსამშვიდობებლად. ეტყობოდა, ყმაწვილებს ძლიერ გაუხარდათ, განსაკუთრებით სანდროს“... გამოსათხოვარი სიტყვა, რომელიც მან აქ თქვა, ასეთი იყო: „იცოდეთ, რომ მე გელით და არ მოკვდები, მანამ ქართული თეატრის გამარჯვებას არ გაიგონებ“.

ასე უყვარდა მას ახალი თაობა. ასე აღელვებდა მისი ბედი — ბედი მთელი ქართული თეატრისა.

ᲔᲠᲝᲚᲘ ᲛᲐᲜᲯᲒᲐᲚᲐᲫᲔ,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ

ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ გუნია ისეთი დიდი ფიგურა იყო ქართული თეატრის და ქართული კულტურის სინამდვილეში, რომ მის მოღვაწეობაზე მთელი ტომები დაიწერება... მე ვიტყოდი, რომ ის იყო უმწიკვლო, შეუბღალავი დროშა ქართული თეატრისა. ვალერიან გუნია ვასო აბაშიძესთან ერთად იყო შეურყეველი საძირკველი, მაგარი ფუძე, დედაბომი გ. ერისთავის მიერ განახლებული თეატრისა მე-19 საუკუნის დასასრულში. მე ვერ დავასახელებ და მგონი არც ჰყოლია ქართულ თეატრს ასეთი მოამაგე, თავდადებული, უანგარო გუშაგი — ამ სიტყვის დიდი მნიშვნელობით. მუდამ თავს დასტრიალებდა უმწეოდ მყოფ ქართულ თეატრს, რა მდგომარეობაშიც არ უნდა ყოფილიყო, მუდამ მოზარე და მზრუნველი იყო ქართული თეატრის ბედისა.

ისეთმა მოღვაწეებმა, როგორიც გუნია იყო, ეროვნული კულტურის მძიმე ტვირთი ზიდეს თავიანთი მხრებით, ხან სიცილით, ხან ჭირვარამით და მოიტანეს რევოლუციამდე. ძველი თეატრი უმეტესად გუნიას ნაწერებით და ნათარგმნებით სულდგმულობდა.

მე ჯერ მოწაფე ვიყავი, როცა გუნია ვნახე სცენაზე. ჯერ კიდევ ყრმობის წლებში მქონდა ბედნიერება შევხვედროდი ჩვენს დიდ მოღვაწეებს, მსახიობებს. ეს იყო ავჭალის აუდიტორიის თეატრი, სადაც ვ. აბაშიძე, მ. საფაროვა, ნ. გაბუნია, ლ. მესხიშვილი, აგრეთვე გუნიაც საქველმოქმედო მიზნით იღებდნენ მონაწილეობას.

გუნია მსახიობის ნიჭს გარდა არაჩვეულებრივი მომხიბვლელობით იყო დაჯილდოებული. ეს კი დიდი საუნჯეა მსახიობისათვის. მისი ვაკაცური იერი, წარმოსადეგობა ხიბლავდა მაყურებელს. იგი ყოველთვის ღირსეული და თანაბარი პარტნიორი იყო ლ. მესხიშვილისა და ვ. აბაშიძისა, მაგრამ ამასთანავე თავმდაბალი და ძალიან მოკრძალებული. გულწრფელად აღმერთებდა ორივეს და თავის თავს მესამე ხარისხის მსახიობთა რიცხვში სთვლიდა...

თეატრში მსახიობთა შორის ის ყოველთვის მაღალი მაგალითი იყო. მზრუნველი, ყურადღებიანი, მსახიობისაგან მოითხოვდა შრომას, სისპეტაკეს და მაღალ მორალს. მკაცრი და მომთხოვნი, თეატრში ანგარებით მოსულს ვერ იტანდა და სდევნიდა.

1911 წელს არდადეგებზე დავბრუნდი მოსკოვიდან (დრამატულ კურსებზე ვსწავლობდი). იმედმახდილი და სასოწარკვეთილი ვიყავი, რომ ვეღარ წავიდოდი მესამე წელიწადს უსახსრობის გამო. ორი წლის ნამუშევარი ფული მოვაგროვე და იმითი ვიარსებე მოსკოვში. იმ დროს უფრო ვაკეშვილებს აძლევდნენ უპირატესობას, რომ მიეღოთ უმაღლესი განათლება, ქალები კი — გათხოვილიყვნენ, შეექმნათ კარგი ოჯახი და დაეზარდათ ღირსეული შვილები, რომ სამშობლოს გამოსდგომოდნენ. ჩემს მშობლებს არ ჰქონდათ იმდენი საშუალება, რომ ოთხი შვილისათვის მიეცათ უმაღლესი განათლება.

ივლისის ერთ დღეს მომივიდა ბარათი, ლ. მესხიშვილი მიბარებდა თეატრში. შიშმა და სიხარულმა ერთად შემიპყრო. ჩვენი თეატრის შესვეურნი ცდილობდნენ განათლებული, ინტელიგენტი ახალგაზრდობა მეიყვანათ თეატრში — გიორგი იშხნელსაც იმ წელიწადს დაუძახეს, ერთად მივედით თეატრში, ისიც ოდესის სტუდენტი იყო და დრამატულ კურსებზე ნამყოფი. საგონებელში ჩავვარდი: ლადო მიბარებს, რა უნდა?

ჟულისფანცქალით და მოკრძალებით შევაღე ლადოს კაბინეტის კარი. ლადო ხომ ჩვენი ღმერთი იყო! წამოდგა, მომეგება, დამსვა და მომმართა: შვილო, გინდა ჩვენთან იმუშაო თეატრში? მე შევკრთი, თითქოს გული გამეღო. ამ დროს კარი გაიღო და შემოვიდა ვალერიან გუნია. ბატონო ლადო, ვუპასუხე მე, რა დროს ჩემი მსახიობობაა. მე ჯერ უნდა ვისწავლო. გუნიამ თავისი მოზიბვლელობით გად

19 მაისი პოეზიის დღეა

ჩვენი ოთხი ქართველის პოეზია

დღეს ქართველი პოეტები „პოეზიის დღეს“ ზეიმობენ; ეს არის არა მარტო პოეტების, არამედ პოეზიის მოყვარულთა და დამფასებელთა საერთო საბაზაფხულო დღესასწაული.

ყველას, ვისაც უყვარს და აბაგრობს ქართული ლექსის ეფხი და სინარნარე, დღეს, საღამოს შეუძლია ესტუმროს საქართველოს მწერალთა კავშირის სასახლეს (მაჩაბლის ქუჩა № 18). აქ გაიმართება ქართული პოეზიის დიდი საღამო, სადაც შესავალ სიტყვას წარმოთქვამს საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი, პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე.

ქართველი პოეტები წაიკითხავენ თავიანთ ახალ ლექსებს, ხოლო შემდეგ გაიმართება დიდი კონცერტი.

ქვემოთ „კომუნისტის“ მკითხველებს ვთავაზობთ ჩვენი პოეტების რამდენიმე ახალ ლექსს.

ქვირფასო ამხანაგებო! ესტუმრეთ ქართველ პოეტებს, გაუზიარეთ თქვენი სურვილები, თქვენი გულისთქმა და მოსაზრებანი!

ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ძეგლთან თბილისში. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

□ □

პოეზიის დღის აღსანიშნავად ამ დღეებში ქართველი საბჭოთა პოეტები ს. შაშვიაშვილი, ა. მირცხულავა, გრ. აბაშიძე, ვ. გაბესკირია, ალ. გომიაშვილი, ი. ნონეშვილი, რ. მარგიანი, ხ. ბერულავა, შ. ამისულაშვილი, ვ. გორგანელი, მ. ფოცხიშვილი, კრიტიკოსები ბ. ჟღენტი და ს. ბოლაია, მწერალი ს. წვერავა თბილისის პლეხანოვის სახელობის კლუბში შეხვდნენ ლენინის რაიონის მშრომელებს. ეს მართლა დაუვიწყარი შეხვედრა იყო.

• • •

ჩვენ ბრწყინავს მათი კალმით ნახატი

ირაკლი აბაშიძეს

თბილისს მაისის ეშხი მოედო,
ვარდ-ყვავილები შემოესია,
ჩვენც გვიხაროდეს, ძმაო პოეტო,
რადგან ზეიმობს დღეს პოეზია.

შოთას პროსპექტზე ფიქრი მიგვაფრენს,
ვხვდებით რაინდებს და დიდებულებს,
სამშობლოსათვის მებრძოლ წინაპრებს,
პოეზიისთვის თავდადებულებს.

დგას ძეგლად მათი გული მფეთქავი,
ორი სახელი ერთად სწერია,
რაზე ფიქრობენ ამ დროს ნეტავი,
მზის აღმოსავლეთს რომ გასცქერიან?

მას ვერ წააქცევს ქარი, ვერც წლები,
გაჰყურებს ქალაქს, ქართლის მთა-ველებს,
ერიამულობენ ბაღში მერცხლები
და ძეგლს აყრიან უჭკნობ ყვავილებს.

ცა ბრწყინავს მათი კალმით ნახატი,
მიწაც ბიბინებს მთიდან ბარამდე,
სიტყვის ბრძენკაცთა გვესმის ღაღადი,
დე მუდამ მათი მადლი გვფარავდეს!

მათს ხსოვნას ხავსი არ ეკიდება,
ვეტრფით მშობლიურ ყვარელს, საჩხერეს.
კალმით დაიცვეს ხალხის დიდება
და საქართველოს ჩანგიც აჟღერეს.

იყვნენ რაინდნი, იყვნენ მგოსნები,
მათი ანდერძი მუდამ გვავალებს
შთაგონებულნი მზით და ოცნებით
მივყვეთ რუსთველის უკვდავ ნაკვალევს.

თბილისს მაისის ეშხი მოედო,
ვარდ-ყვავილები შემოესია.
მაშ ჩვენც ვიმღეროთ, ძმაო პოეტო,
ხარობს, ზეიმობს დღეს პოეზია!

ალიო მირცხულავა

ჩვენც გვიხაროდეს, ძმაო პოეტო!

თბილისს მაისის ეშხი მოედო,
ვარდ-ყვავილები შემოესია,
ჩვენც გვიხაროდეს, ძმაო პოეტო,
რადგან ზეიმობს დღეს პოეზია.

შოთას პროსპექტზე ფიქრი მიგვაფრენს,
ვხვდებით რაინდებს და დიდებულებს,
სამშობლოსათვის მებრძოლ წინაპრებს,
პოეზიისთვის თავდადებულებს.

დგას ძეგლად მათი გული მფეთქავი,
ორი სახელი ერთად სწერია,
რაზე ფიქრობენ ამ დროს ნეტავი,
მზის აღმოსავლეთს რომ გასცქერიან?

მას ვერ წააქცევს ქარი, ვერც წლები,
გაჰყურებს ქალაქს, ქართლის მთა-ველებს,
ერიამულობენ ბაღში მერცხლები
და ძეგლს აყრიან უჭკნობ ყვავილებს.

ირაკლი აბაშიძეს

ცა ბრწყინავს მათი კალმით ნახატი,
მიწაც ბიბინებს მთიდან ბარამდე,
სიტყვის ბრძენკაცთა გვესმის ღაღადი,
დე მუდამ მათი მადლი გვფარავდეს!

მათს ხსოვნას ხავსი არ ეკიდება,
ვეტრფით მშობლიურ ყვარელს, საჩხერეს.
კალმით დაიცვეს ხალხის დიდება
და საქართველოს ჩანგიც აჟღერეს.

იყვნენ რაინდნი, იყვნენ მგოსნები,
მათი ანდერძი მუდამ გვავალებს
შთაგონებულნი მზით და ოცნებით
მივყვეთ რუსთველის უკვდავ ნაკვალევს.

თბილისს მაისის ეშხი მოედო,
ვარდ-ყვავილები შემოესია.
მაშ ჩვენც ვიმღეროთ, ძმაო პოეტო,
ხარობს, ზეიმობს დღეს პოეზია!

გიორგი ლეონიძე

ხალხური მოიმღერალი

მოგონება რამ
ჩემი ყრმობიდან
გულს მოეთბილა,
მოეყვავილა.

იმედიანად
მას დავყრდნობივარ,
ვთვლი ჩემი ფესვის
წმინდა ყამირად...

მახსოვს, მღერალი,
ტლუ ღამის მეხრე
ღმერთად ვიწამეთ
სოფლის ბავშვებმა,
ისე მღეროდა
მეხრე მახარე,
ეძინებოდათ
გუთნის აშვება!

მზად იყვნენ ეხნათ
დაუსრულებლივ,
ოღონდ ემღერა
გულის წამტანად...
მის ალმასურ ხმით
დაისრულები
ვიყავით ყველა:
დიდი, პატარა!

ეს მოგონება
განა ფასია
იმ სიტკბოების,
რაც განვიცადე?
გულში რაც ერთხელ
ჩანაბასრია,
აღარ მორჩება,
ყველამ იცოდეთ!

მღერა კი არა,
იყო ღაღადი,
თითქოს ოცნება
ედარდებოდა;
ხან მარგალიტის
სჩქეფდა ნაკადი,
ხან ვერცხლის მაჯრად
ჩატბორდებოდა.

თითქოს ზურმუხტში
ლალი სცვიოდა,
თითქოს ჰფანტავდნენ
მარჯანს პეშვითა,
და ხმა ყელიდან
კი არ დიოდა,
არა! —
ვარსკვლავთა აზარფეშიდან.
ხალხის სიღრმეში
ოქროდნობილი
ბუყდა ნაპერწკლებს
აგიზგიზებდა,
მრავალწმახნილად
ხმა მიბნედილი
ყოველი მხრიდან
სახმილს გისევდა!
მღეროდა იგი
სიღრმით გულისა
ხალხის გულისთქმას,
ხალხის გულისხმას!..
მას გული ჰქონდა
ვარდის სურნელში
და სული
ცეცხლში ამოვლებული.
მაგრამ ცხოვრება
შეხვდა უხეში,
სასტიკ ბედისგან
იქმნა ვნებული!
ხელდამოკლებულ
კაცის ოცნებას,
უსაკმარობის
გადიტანს წყლული.

ჯერ ხომ ცხოვრებამ
მაგრად მოთელა,
მერე მინდორში
აღმოხდა სული!
ადექით, მისი
ხსოვნის წინაშე,
უსახელოს წინ,
თავი დახარეთ!
მახარეს ყელში
ხალხი მღეროდა,
ათასი, განა
ერთი მახარე!
არ ჰყვარებია
სახელის დევნა,
არც შეუმკიათ
შუბლი დაფნითა,
მახარეს ჰანგი
გადიქცა მტევნად,
ყანად დამწიფდა,
ხოხბად აფრინდა!

ალბათ ვარსკვლავებს
დაუმობილდა,
სხივს შეუერთდა
დილის მზისასა,
განა მისი ხმა
სოფელს მოსცილდა?
გალივებულმა
უფრო ისავსა!
ის მარილივით
იყო ყველასი,
ვით იაშუქი,
ვით ცისარტყელა;
ვერ მოადწია
თქვენთან ვერასგზით,
ვერც თავი თქვენთან
დაისახელა!

სთქვა ხალხის გულის
დანაკისრალი,
ერმა
სათქმელი გადაბარა...
მოკვდა!
დიდია დანაკლისარი,
მაინც მისი ხმა
ისმის მთა-ბარად!

არა სჭირდება
შემოქმედს გლოვა,
ნუ მეუბნებით:
მოკვდა, გათავდა!
მოვა მახარე,
ვით სიო მოვა,
როგორც ნამგალი,
მივა თავთავთან...

მისი სახელი
ჩუქურთმაშია,
რქაწითელში ძგერს,
თავთუხში ღვივის.
ტოროლას ფრთები
მისი ტაშია,
მდინარეები
აწვდიან
ღიმილს.

• • •

ზოგი წიგნს სწერდა,
ტაძარს აგებდა,
სხვა სჭედდა ოქროს;
რიგი მღეროდა;
მავანი კიდევ
აქანდაკებდა...
ვადიდებ
ნაქმარს უსახელოთა!..
რა ბრწყინვალეა,
შუქით რა ჰშვენის, —
ხალხის ნამღერი
და ხელნაშენი!
ხომ უსახელომ
შექმნა ქართველმა
„მრავალჟამიერ“,
„მუმლი“,
„ლილეო“!
ვინ არი კიდევ
სხვათა დამთვლელი?
ჩვენი სიმღერა
არ დაილევა!
გულის ნაცეცხლით
იღვაწეს, ძერწეს,
სახელისა და
გვარის უმხელ-დ...
გაუძლეს დროთა
რისხვის ნამეხებს,
მწარე სიკვდილმა
ვერსად უყილა!
სიმღერით დამწყარ
ჩემს ღამის მეხრეს,
ვინც ქართულ მიწას
მართლა უმღერა, —
დიდება!
ძალით ვერ დაამუხლა
მისი ტკბილი ხმა
მძიმე ულილმა...
...ჰქმნიდნენ
ხალხისთვის,
ტურფად მღეროდნენ,
იდგნენ გრიგალში
ქედმოუხრელად...

რევაზ მარგიანი

პირველ ქართულ ლექსს გაუმარჯოს

მე ერთზე ვფიქრობ, ვიცოდე ნეტავ,
სად, როდის გაჩნდა სიმღერის ფესვი,
სიბრძნის, სინათლის, სიმართლის დედა —
ჩვენი პირველი ქართული ლექსი!

ვინ იყო მთქმელი, სად იყო, როდის,
რომ ფიქრი ლექსად გაავლო გულში,
ნეტავ ვიცოდე საიდან მოდის,
ან თესლი როდის გაღვივდა ხნულში?!

ეს შენ ხარ, შენ ხარ წინაპრის ლანდო,
ანათებს შენი ჩაკრული კვესი,
შენ ერმა თვისი გულისთქმა განდო
და პირველმა სთქვი მდუღარე ლექსი.

შენ იყავ ხმალი, ურო და გრდემლი,
ჭირთა მოთმენა და ჭირთა ძლევა,
თვალთაგან სიმწრით მომსკდარი ცრემლი —
მანანასავით ეკიდე მტევანს.

შენ ოროველით ეტრფოდი გუთანს
და სატრფიალში კვნესოდი მწარედ,
შენ წყევლა-კრულვას ეთვლიდი სულთანს,
ლოცავდი ძვირფას სამშობლო მხარეს.

შენ იყავ ჩვენი დედაც და მამაც,
ურჩხულის პირში ჩაჩრილი შუბი.

შენ იყავ ლოცვა და იავნანა
და ერსაც მისთვის დაჭქონდი უბით.

შენ ხმალთან ერთად ვერაგი ჰკაფე,
პირველი დახვდი მომხვდურებს სამტროდ.
შენ სიყვარულის აბამდი ძაფებს
და ირემივით უხმობდი სატრფოს.

შენ ეგალობდი თავდახრილ თავთავს,
ჯეჯილს და სათიბს, ხეხილს და ვენახს,
შემოიჩვია შენს ლამაზ კალთას
შენგან ისწავლა ბულბულმაც სტვენა!

შენ იყავ ფიცხი საპირისწამლე,
გაუბზარავი ფარი და ზუჩი,
შენით ლოცავდა მზესა და მთვარეს
პირველი კოცნით დამტკბარი ტუჩი.

შენით მოჰქონდა დაუღლელ უღელს
კალოზე ძნა და ვენახში ჭიგო,
შენ ამღერებდი მუხიანს მუხებს,
მულახში ჭინარს, ქედაში ჭიბონს...

ეს პირველ ქართულ ლექსს გაუმარჯოს,
პირველი ბგერის ეშხსა და ალას,
ქართველი კაცის პირსა და სარჩოს
და გიშრის ტბაში ჩაწებულ კალამს.

ანდრო თევზაძე

თქვენი ხმა გვათბოგს

კუდიგორადან დავცქერი კახეთს,
ალაზნის ველის დიდებულებას,
და საქართველოს ღვთაებრივ სახედ
წინ მეხატება მისი ბუნება.

დავაყურადებ დუდუნს ალაზნის;
მწამს, წინაპარი არ გამიწყრება;
მე ახლა მივხვდი, რომ სილამაზეს
სცოდნია კაცის თავდავიწყება.

გომბორის მთები, როგორც მერნები,
დადევნებია ღრუბლის ქარავნებს;
აქ რომ ვესახლო, არ დავბერდები,
მზუხრის ლანდები ვერ დამფარავენ.

აღტაცებულმა გავშალე მხარი,
გადვიხსენ მკერდი, ალვმართე ხელი,
სამშობლოვ ჩემო, ხომ მოვესწარი,
შორს გაიტყორცნა შენი სახელი.

და როგორც გიქმაქ დურუჯის ტალღას
ვერ შეაკავებს კლდეთა ლოდები;
ილიას შუბლის ნათელი გახლავს
და არასოდეს დაბოლოვდები.

თვალს შევაყენებ გრემის ციხესთან
და ძველ ქონგურებს მოვეფიდები,
რომ უფრო ნათლად ვიგრძნო იქიდან
შარავანდედი წარსულ დიდების.

შემდეგ გავყვები ალაზნის ზვირთებს,
ვაზების ფესვებს ჩაველვარები,
და თუ მზე გულში ხანძარს დამინთებს,
გადამფარებს კალთას ყვარელი.

თუმცა მარტო მზე როგორ დამჯაბნის,
რად ვერ გავუძლებ მის სიმხურვალეს?
მაგრამ არ გავყვე ილიას ნაბიჯს?
გავექცე კოტეს ანთებულ თვალებს?

ო, წინაპარნო და სულთა მნათნო,
თქვენს აჩრდილებთან არა ბნელდება,
თქვენი გულთა ხმა ისევე გვათბობს,
სიცოცხლე თქვენი ისევ გრძელდება.

და ლამაზ კახეთს დავყურებ ოდეს,
მე თქვენი ცეცხლის ნაპერწკლებს ვნატრობ;
სიცოცხლე როგორ არ მიხაროდეს
ასე წარმტაცი სამშობლოს პატრონს!

ვარლამ ჟურული

მთაწმინდელებთან

უმღერს მთაწმინდას წვიმა და ქარი,
კოცნის ძეგლებს, და მეშვება გულზე.
ნაპერწკალივით ტკაცუნობს პწკარი,
როცა უკვდავთა საფლავებს ვუმზერ.

ქართულ პანთეონთან მიტომ მოვედი,
აქ სიტყვაშია მზე ჩარეული
ნეკვს ეტრფოდა გრიბოედოვი,
თბილისში გახდა მტკვარდალეული.

პეტერბურგელმა დალია მტკვარი,
ჭავჭავაძემ კი თერგი ადიდა.
არ გავახსენოთ მტკვარს სატკივარი,
რაც უმტვრევია ტალღა დარდითა.

ადრე სიკვდილის ფურცლობის ნიშნად
აქ დაფერფლილა წინანდლის ვარდი.
ძვლებს ეხუტება მიწა და ქვიშა,
სევდას ინახავს სურო და ბარდი.

ნუ მიენდობა კაუშანს ნურვინ,
თვალი თუ ელტვის მთაწმინდის ცქერას,
ოდეს „მონამენ ცვარნი ციურნი“
ბარათაშვილის ოცნების კერას.

აქ უნდა იგრძნო გმირული სული,
მშობელ ქვეყანას თავს თუ ეკლები.
ვართ სულკეთილთა მთასთან მისული,
გზას გვინათებენ მთაწმინდელები.

მთაო წმინდაო! მღელვარე სახით
შენი დიდების სათქმელად ვიწევ,
ვუვლი ძეგლებს და მამულს ვეძახი
ლექსით მიკრული მამადავითზე:

— ღრუბელს უბეში ჩაუსვამს მკვარე,
ცას წაუშლია ვარსკვლავთა ხომლი.
მინდა წიწამურს შევკვირო მწარედ —
რა ულვოოდ მოჰკლეს ყვარელის ლომი!

მინდა არაგვმაც თქვას არაგვულად —
ვაჟას ცრემლები რათ უდენია!
მაშინ წყვდიადით მთა გათანგულა,
დევს ატირებდა ჩარგლის გენია.

მინდა დავემხო გრანიტის ლოდთან,
შავად რომ აწევს სპეტაკ აკაკის,
ერის ენამზე ბულბული მოკვდა,
ციცინათელაც გრძნობს ამ დანაკლისს.

მინდა მაისის მწვანე ფოთლებთან
კვლავ მოვიგონო ლექსთა სიონი.
გალაკტიონის ხმა გვათრთოლებდა,
ხალხის ხმაშია გალაკტიონი.

მინდა მთაწმინდას ვემთხვიო ახლა,
ძეგლებს მოვწმინდო ხავსი და მუმლი,
ფიქრებთან ერთად ავწიო მაღლა
აწკარებთან ომში დაღლილი შუბლი.

პიონერთა დღესასწაული

19 მაისი ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის დაბადების დღეა

ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოში არის ერთი უზარმაზარი „ქვეყანა“. მას „პიონერიას“ ეძახიან. ამ ქვეყნის „მოსახლეობაა“ 10-დან 15 წლამდე ასაკის 20 მილიონი გოგონა და ბიჭუნა — კლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის წევრები.

და აი დღეს ზეიმობს ეს „ქვეყანა“ მთელი თავისი „მოსახლეობით“. 19 მაისი ხომ ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის დაბადების დღეა. საზეიმო დღეს შეკამდება პიონერთა რაზმების ტრადიციული საკავშირო შეჯიბრება „ვისი რაზმია უკეთესი?“ დილითვე დაიწყება საკავშირო რადიოხაზი. ხაზზე დასასწრებად ბედნიერი ბავშვები მიიწვევენ ძველ კომუნისტებს, კომუნისტური შრომის ბრიგადების წევრებს, მეომრებს, გამოჩენილ ადამიანებს. რაზმის ხაზზე სტუმრები მოუსმენენ პიონერთა სიტყვას იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ ლენინის ანდერძს სწავლისა და შრომის შესახებ.

ჩვენი მზიური რესპუბლიკის დედაქალაქში — თბილისს დღეს ახმიანებს პიონერული საყვირისა და დოლის ხმა. განსაკუთრებით იგრძნობა ეს ზეიმი დღეს ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე, რომლისკენაც მოედინებიან პიონერთა საუკეთესო რაზმები. უკვდავი ბელადი აქ აღმართულ ძეგლს, რომელთანაც საზეიმო ხაზი გაიმართება, ბავშვები ყვავილებით შეამკობენ.

ბავშვების დიდი ზეიმია, სასიხარულო ზეიმი.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ დედაქალაქის მოზეიმე ბავშვთა ერთ ჯგუფს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

კომეტა ოლკოკა დედამიწას შორდება

მაისის დამდეგს ახალი კომეტა ოლკოკა დედამიწას უნდა შეხვდეს — ასეთი ცნობები გამოქვეყნდა პრესაში დაახლოებით ერთი თვის წინათ. მაგრამ ნავარაუდევი შეხვედრა კომეტასთან არ მოხდა. რატომ?

□ □

1963 წლის 19 მარტს გედის თანავარსკვლავედში აღმოჩენილ იქნა ახალი საკმაოდ კაშკაშა ვარსკვლავისებრი კომეტა მერვე სიდიდისა — ოლკოკა. იგი დრაკონის თანავარსკვლავედის მიმართულებით მოძრაობდა. კომეტით დაინტერესდნენ ასტრონომები. მისი მოძრაობის პირველი დაკვირვებით ამერიკელმა მეცნიერმა მარსდენმა და საბჭოთა ასტრონომმა ვორობიოვმა ერთსა და იმავე დროს განსაზღვრეს მისი ორბიტა.

შემდგომი დაზუსტებით უარყოფილ იქნა წარმოშობილი ვერსია, რომ ოლკოკა ჩვენს პლანეტას უახლოვდებაო.

კომეტა ოლკოკა მოძრაობს პარაბოლით თითქმის პერპენდიკულარულად დედამიწის ორბიტის სიბრტყის მიმართ. 6 მაისს მან მიაღწია პერიგელს — თავისი ორბიტის იმ წერტილს, რომელიც ყველაზე ახლოა მზესთან, და 230 მილიონ კილომეტრ მანძილზე ჩაუარა მას. ამ დროს კომეტა დედამიწისაგან დაშორებული იყო 90 მილიონ კილომეტრზე მეტით. ამჟამად იგი შორდება მზეს და დედამიწას.

ცაში კომეტა ოლკოკას დანახვა შეიძლება შუქძალიანი ბინოკლით ან ბინოკულარით მწყემსის თანავარსკვლავედის ჩრდილოეთ ნაწილში დიდი რვილის „ჩამჩის“ სახელურის გაგრძელებაზე.

„იზვესტია“

მაყურებელი უკეთეს თამაშს მოელოდა

დინამო“ (თბილისი) — „პახტაკორი“ (ტაშკენტი) 4 : 2 (1 : 0). თბილისი. 18 მაისი. „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი — ვ. ოსიპოვი (მოსკოვი).

„დინამო“ — კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხუციცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, კალოევი, პეტრიაშვილი დათუნაშვილი; „პახტაკორი“ — პშენიჩნიკოვი, ზაქიროვი, მოტორინი, სუიუნოვი, კახაროვი, მუხინი, აბდურაიმოვი, ტაზეტდინოვი, კრასნიცკი, ტაჯიროვი, ბელიაკოვი.

ტაშკენტის „პახტაკორი“ აუტსაიდერთა წარმომადგენელია და მეორე ქვეჯგუფში გადასვლის კანდიდატიც. იგი არ ბრწყინავს მაღალ ტექნიკური თამაშით, არც პოტენციურობით.

ასეთ მეტოქესთან ბევრი, მათ შორის როგორც ირკვევა დინამოელებიც იოლ გამარჯვებას მოელოდნენ და მოედანზე თვითკმაყოფილები გამოვიდნენ.

თბილისელ თავდასხმელებს პირველ ტაიმში ბევრი არაფერი გაუკეთებიათ — სერავდნენ მოედას, „კარის აღებაზე“ კი ნაკლებად ზრუნავდნენ. და ბოლოს როგორც იქნა მოხერხდა ანგარიშის გახსნა, მეტრეველმა კარის წინ შექმნილ ორომტრიალში შეძლო ბურთის გატანა.

ტაიმის უკანასკნელ წუთებში და შეხვედრის მეორე ნახევარში თერმეტი დინამოელის წინააღმდეგ ათი ტაშკენტელი იბრძოდა (მსაჯმა არასპორტული საქციელისათვის მოედნიდან გააძევა აბდურაიმოვი). მაგრამ სტუმრებმა დაცვის შეცდომით ორჯერ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება 1 : 1, 2 : 2 (ბურთები გაიტანეს მუხინმა, იამანიძემ და ბელიაკოვმა) ამის შემდეგ თბილისელებმა (კალოევი, ბარქაია) ორი გოლით გაზარდეს ანგარიში და გაიმარჯვეს 4 : 2.

მატჩეგი და შედეგები

გუშინ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მეათე ტურის მატჩები ფეხბურთში პირველი ქვეჯგუფის გუნდებისათვის.

აი მათი შედეგები:

„დინამო“ (მინსკი) - „ტორპედო“ (მოსკოვი) 1 : 1, „არარატი“ (ერევანი) - „კარპატი“ (ალმა-ატა) 2 : 0, „დინამო“ (ლენინგრადი) - „ცსკა 1:1, „მოლდოვა“ (კიშინიოვი) - „სკა (დონის როსტოვი) 2 : 3, „ავანგარდი“ (ხარკოვი) - „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 3 : 1, „ნეფტჩინიკი“ (ბაქო) - „დინამო“ (კიევი) 3 : 2, „შახტიორი“ (დონეცკი) - „ზენიტი“ (ლენინგრადი) 0 : 0.

მეათე სვლაზე ყაიმი

გუშინ მოსკოვში გაიმართა მსოფლიოს პირველობაზე მ. ბოტვინიკისა და ტ. პეტროსიანის მატჩის ოცდამეერთე პარტია ჭადრაკში. ეს შეხვედრა სულ ერთ საათს გაგრძელდა. მეათე სვლაზე მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. მატჩის ანგარიშია 12:9 ტ. პეტროსიანის სასარგებლოდ.

მორიგი პარტია შედგება 20 მაისს.

იწყება ფინიში

ათი ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრებისას ჯინჯიხაშვილმა და შიშოვმა მოუგეს ჩიქოვანს. ტოლუში ტურნირიდან გავიდა და დარჩენილ შეხვედრებში წაგება ჩაეთვალა. გურგენიძე - არონშტეინის, ბლაგიძე - ჯინჯიხაშვილისა და ლომაია - კიკიანის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები არ გათამაშებულა.

ათი ტურის შემდეგ 8,5 ქულით პირველ ადგილზეა შამკოვიჩი.

უკანასკნელი ტურის წინ

გუშინ თბილისის ფიზკულტურის პარკის საცურავ აუზში გაიმართა წყალბურთელთა საკავშირო ტურნირის მორიგი შეხვედრები.

ლიდერმა — თბილისის „დინამომ“ გათამაშების ცხრილი კიდევ ორი ქულა ჩაიწერა, დამარცხა მოსკოვის „ბურევესტნიკი“ ანგარიშით 3:1.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

19 მაისი

12.00 — პიონერული ორგანიზაციის შექმნის 41-ე წლისთავისადმი მიძღვნილი გადაცემა, 12.25 — მხატვრული ფილმი „თემური და მისი რაზმი“, 13.55 — ქართული ენის გაკვეთილი, 14.25 — რუსული ენის გაკვეთილი, 18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია“, 18.05 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.50 — საერთაშორისო მიმოხილვა, 19.10 — გადაცემა — „ვალერიან გუნია“, 19.40 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 20.30 — მხატვრული პროგრამა.

20 მაისი

18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია“, 18.05 — „პიონერული ახალი ამბები“, 18.25 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.45 — გადაცემა — „კომკავშირული პროჟექტორის შუქზე“, 19.05 — კინონარკვევი სამედიცინო თემაზე — „ეს უნდა ვიცოდეთ“, 19.15 — გადაცემა ციკლიდან — „მეცნიერება წარმოუბას“, 19.30 — ვალერიან გუნიას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს ტრანსლაცია თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან. ტრანსლაციის შემდეგ — ახალი ამბები.

რადიო

20 მაისი

პირველი პროგრამით

06.40 — ო. თაქთაქიშვილი. სონატა ფლეიტისა და ფორტეპიანოსათვის, 08.10 — კონცერტი — „თუ მთელი ქვეყნის ჰაბუკები“..., 09.20 — ნაწყვეტები შ. მშველიძის ოპერა „დიდოსტატის მარჯვენადან“, 11.15 — კონცერტი მეტნერის ნაწარმოებებიდან, 12.10 — ნაამბობი — „მომავლის ადამიანებთან, 12.25 — ტ. ბაქრაძე. სიმფონია, 13.40 — ლ. ლიადოვასა და ჯ. ლისტოვის სიმღერები, 17.15 — ნ. მამისაშვილი. საფორტეპიანო ნაწარმოებები, 17.35 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 18.10 — კონცერტი — „ქართული ხალხური საკრავების ჰანგზე“, — 18.45 — თ. ამირეჯიბის კონცერტი, 19.30 — საუბარი — „რატომ ჭიანურდება ელექტრომრეწველობის ობიექტების მშენებლობა“, 20.15 — „ძილისპირული“, 20.30 — ვაგნერი. ოპერა „ნიურნბერგელი სიმღერის ოსტატები“ (მონტაჟი), 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკის კონცერტი.

რედაქტორის მოადგილე
ბ. ვარდოსანიძე.

„კომუნისტი“ Комунисти ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 3-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10 განყოფილებებისა: პარტიული, მრეწველობის, — 9-87-61. მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის. — 3-22-89, სოფ. ლეს მეურნეობის — 3-32-46 საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. დ. სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, ილუსტრაციათ — 3-20-43, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

უე 05941

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის „ბოლშევიკი“ „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

3